ბატონ (ქალბატონ) ომბუდსმენს

[redacted]

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ 2016 წლის 4 ივნისს დავიწყე მუშაობა SCPX პროექტში არეა 81 – ზე (ვალეს ობიექტი), კომპანია „ენკაში'' რიგერის პოზიციაზე.

როგორც კადრების განყოფილებაში კონტრაქტის გაფორმებისას „აგვიხსნეს'' ობიექტზე არ იყო რიგერების ვაკანსიები (ეს იმ დროს, როდესაც ობიექტზე მუშაობდა 7 ამწეკრანი და მათ ემსახურებოდა სულ 10 რიგერი), ამიტომ მეც და ჩემთან ერთად 7 კოლეგას გაგვაფორმებდნენ „ფოლადის მემონტაჟეებად'' და ვიმუშავებდით რიგერებად (ანაზღაურება გვექნებოდა შესაბამისად რიგერის) ანალოგიურად იმ 10 რიგერშიც 6 ფოლადის მემონტაჟედ იყო გაფორმებული.

იყო შეპირება, რომ შემდგომში კონტრაქტის გაგრძელებისას მოხდებოდა ჩვენი კონტრაქტების შეცვლა და გაფორმება რიგერის პოზიციაზე, მაგრამ შეპირება დარჩა შეპირებად.

ჩემი ობიექტზე მუშაობის პერიოდში 2017 წლის 4 იანვრამდე აღმოვაჩინე უამრავი დარღვევა, რომელზედაც შევეცდები მოგახსენოთ:

1) ამწეკრანებთან მომუშავეებს არ გვქონდა გავლილი რიგერის შესაბამისი ტრენინგები (ჩამბმელის, მესიგნალის, თოკის დამჭერის, სიმაღლეზე მუშაობის და ა. შ.) და ფაქტიურად აწევის სამუშაოებს ვასრულებდით არაკვალიფიციური – გამოუცდელი კადრები;
2) ამწეკრანების ტექდათვალიერება ხდება ფორმალურად, რაც გამოიხატება თვეში ერთჯერ კრანის კაბინაზე ტექდათვალიერების ფირნიშის მიწებებით;
3) არ ხდება აწევითი სამუშაოებისათვის საჭირო აქსესუარების შემოწმება კვალიფიციური სპეციალისტის მიერ – ეს მინდობილია ამწეკრანებთან მომუშავე „ფოლადის მემონტაჟეებზე'' და გამოიხატება აქსესუარებზე სხვადასხვა ფერის იზოლენტების დახვევით მათ მიერ;
4) რამოდენიმე ამწეკრანზე ხდება მძიმე ხის პადონების აწევა და უკან ჩამოღება ამწეკრანის პლატფორმაზე ხელით, რაც მოითხოვს უდიდეს ძალისხმევას მით უმეტეს თოვლიან და წვიმიან ამინდებში;
5) აწევითი სამუშაოების დროს კონსტრუქციების დატვირთვა – ჩამოტვირთვისას ხდებოდა ტრაილერებზე ასვლა – ჩამოსვლა კიბის გარეშე ვინაიდან არ გვქონდა კიბეები;

6) არ ხდებოდა აწევითი სამუშაოების წინ სამუშაო ადგილის დათვალიერება კვალიფიციური სპეციალისტების მიერ და ესეც მინდობილი იყო ამწეკრანებთან მომუშავეებზე;
7) ამწეკრანთან მომუშავეთა რაოდენობა ნაკლები იყო სამუშაო პროცესისათვის საჭირო რაოდენობაზე.

ასევე იყო სხვა უამრავი დარღვევა:

1) 2 კვირის მანძილზე მხოლოდ 1 დღე არის დასვენება, ყოველდღიური სამუშაო საათები განისაზღვრება არა 8 საათით, არამედ რეგულარულად 07. 30 საათიდან 18. 30 საათამდე და ხშირად ხდებოდა 18. 30 საათის შემდეგ დამატებით 2 – 3 საათით დატოვება სამუშაოზე, რის შედეგადაც ხდება მუშებში ძალების გამოფიტვა და ამის გამო ძალიან ხშირია მუშების დაავადმყოფების შემთხვევები. აღნიშნულ საკითხზე პროტესტის შემთხვევაში ყველამ იცის, რომ აღარ გაუგრძელდება კონტრაქტი და გაჭირვებით იტანს ასეთ ექსპლოატაციას. აქვე მინდა დავძინო, რომ ძალიან ხშირია დამატებითი სამუშაო საათების გამოტოვება და ფაქტიურად მუშები ამ საათების გარკვეულ ნაწილს მუშაობენ ანაზღაურების გარეშე;
2) ძალიან დიდი განსხვავებაა ანაზღაურებებში თურქეთისა და საქართველოს მოქალაქეებს შორის. ერთი და იგივე პოზიციაზე თურქეთის მოქალაქეებს 3 – 4 ჯერ და მეტჯერ მეტი ხელფასები აქვთ ვიდრე საქართველოს მოქალაქეებს;
3) სასადილოს ზომები არ შეესაბამება მომუშავეთა რაოდენობას, რის გამოც სადილობის ერთი საათი მუშებს უწევდათ რიგებში ყოფნა და სადილის მერე არ რჩებოდა დასვენების დრო. თვითონ საჭმლებიც იყო ძალიან უხარისხო, რის გამოც მომუშავეთა უმრავლესობას შეექმნათ კუჭ – ნაწლავის პრობლემები;
4) ობიექტიდან გამოსვლა მიკროავტობუსებისაკენ (მიკროავტობუსები იმყოფებოდა ობიექტის შესასვლელის გარეთ) ხდება 18. 25 საათზე. მუშების გამოსვლას აკონტროლებს საათების აღმრიცხველი, რომელსაც არ ვიცი რატომ და საათი გადაწეული ჰქონდა 10 წუთით უკან და აიძულებდა მუშებს გვიან დაეტოვებინათ ობიექტი. პირადად მე მივუთითე სათების აღმრიცხველს, რომ გაესწორებინა საათი, ბოროტად ნუ იყენებდა ხალხის მოთმინებას, აბუჩად ნუ იგდებდა ხალხს;

5) კომპანია „ენკა" არად დაგიდევს კონტრაქტის პირობებს, თვითონ ცალმხრივად ათავისუფლებს მუშებს სამსახურიდან (კონტრაქტით გათვალისწინებული დროული წერილობითი შეტყობინების გარეშე) და სარგებლობს რა იმით, რომ მუშებს აკლიათ იურიდიული განათლება, აწერინებს ხელს თითქოს მოხდა ორმხრივი შეთანხმება;

6) დიდი დარღვევებით ხდება მუშების სამსახურში მიღება–გათავისუფლება. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნაცნობ – მეგობრობას.

ობიექტზე მოქმედებს ერთი კანონი – თურქი ეროვნების მოქალაქეები ყოველთვის მართლები არიან და მათთვის უბრალო შენიშვნის მიცემა სამსახურიდან გათავისუფლებად გვიჯდება.

მე ჩემი გათავისუფლების შემდეგ მივმართე წერილობითი საჩივრის ფორმით (იხილეთ დანართი) კომპანია „ENKA INSAAT VE SANAYI AS" – ს, რათა აეხსნათ ჩემი გათავისუფლების მიზეზი და საბოლოო ანგარიშსწორებისას გადაეხადათ ჩემთვის დაკლებული თანხა, მაგრამ მიუხედავად იმისა რომ საქართველოს შრომის კოდექსი ავალდებულებს დამქირავებელ კომპანიებს 7 დღის განმავლობაში გასცენ პასუხი და ასევე გათავისუფლებიდან 7 დღეში მოახდინონ საბოლოო ანგარიშსწორება, კომპანია არად დაგიდევს კანონის მოთხოვნებს. ეს შეეხება ასეულობით გათავისუფლებულ მუშებს.

კომპანია „ენკამ" პასუხი მომცა 1 თვის შემდეგ, რომელიც მთლიანად სიცრუეზე და ტყუილზეა აგებული.

მე არსებული პრობლემებისა და დარღვევების შესახებ მივმართე კომპანია „BP" – ს (წერილი ჩაბარდა 13 თებერვალს, 2017 წელი), მაგრამ მიუხედავად ჩემი მრავალგზის სატელეფონო საუბრების „BP" – ს საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმომადგენლებთან პასუხი დღემდე არ მიმიღია და რამდენადაც ჩემთვის ცნობილია არავითარი რეაგირება არ ხდება ზემოთ ჩამოთვლილი დარღვევებისა და პრობლემების აღმოსაფხვრელად.

მრჩება შთაბეჭდილება, რომ პროექტი მიმდინარეობს არა 21 – ე საუკუნეში, არამედ მონათმფლობელური წყობილების დროს, ეს იმ დროს როდესაც ობიექტზე უსაფრთხოების საზედამხედველო ფუნქციებს კომპანია „BP" ასრულებს.

კომპანიები „ENKA INSAAT VE SANAYI AS" და „BP" ძალიან მეგობრულად არღვევენ უსაფრთხოების წესებს, იმ წესებს რომლებიც ორთავე კომპანიას დეკლარირებული აქვს პიარის გულისთვის (იხილეთ „BP" – ს უსაფრთხოების 8 ოქროს წესი).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩემი უმორჩილესი თხოვნაა მიიღოთ ჩემი საჩივარი წარმოებაში და დაგვეხმაროთ როგორც სამართლიანობის აღდგენაში, ასევე ობიექტზე უსაფრთხოების დარღვევების აღმოფხვრის საკითხებში.

P. S. უდიდეს ბოდიშს გიხდით, რომ ვერ უზრუნველვყავი წერილის თარგმნა ინგლისურ ენაზე.

პატივისცემით განმცხადებელი: /მალხაზი ხითარიშვილი/

29. 03. 2017 წელი.

საკონტაქტო ტელეფონები: [redacted]

[redacted]

დანართი 1.

კომპანია „ენკა ინშაათ ვე სანაი ანონიმ შირქეთის" საქართველოს ფილიალის კადრების განყოფილებას.

[redacted]

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ 2016 წლის 4 ივნისიდან 7 თვის განმავლობაში ვმუშაობდი კომპანია „ენკას" ობიექტზე არეა 81 - ზე SCPX პროექტის ფარგლებში.

ამ დროის განმავლობაში არ მიმიღია არავითარი შენიშვნა თუ გაფრთხილება. გამოცხადებული მაქვს ხშირი მადლობები ჩემი ჯგუფის ხელმძღვანელ ბატონ [redacted] უსაფრთხოების ოფიცრისგან და ობიექტის მენეჯერ ბატონ [redacted]

2017 წლის 4 იანვარს ჩემთვის მოულოდნელად საათების აღმრიცხველმა ბატონ [redacted] შემატყობინა, რომ მიბარებდნენ კადრების განყოფილებაში (მე და ჩემს ორ კოლეგას). სადაც გამოგვიცხადეს, რომ გათავისუფლებული ვიყავით სამსახურიდან.

გთხოვთ მომაწოდოთ ინფორმაცია, თუ რა მიზეზით მოხდა ჩემი დათხოვნა სამსახურიდან.

ასევე გთხოვთ მიშუამდგომლოთ კომპანიის საფინანსო სამსახურებთან რათა საბოლოო ანგარიშსწორებისას მოხდეს თავის დროზე გამოტოვებული თანხის დარიცხვა:

1) ივნისისა და ოქტომბრის თვეების ინფლაციის პროცენტის;
2) ივნისის (8 საათი), ნოემბრის (8 საათი), დეკემბრის (2 საათი) დამატებითი სამუშაო საათები - ეგრეთ წოდებული „მესაია";
3) 6 დეკემბრის (4 საათი), 31 დეკემბრის (0.5 საათი) დაკლებული საათები.

ჩემი დაანგარიშებით სულ 128 ლარი

პატივისცემით განმცხადებელი: /მალხაზ ხითარიშვილი/

30. 01 2017 წ

საკონტაქტო ტელეფონები: [redacted] [redacted]